№ 179

კვირა, 21 აგვისტო 1894

1877—1894

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

№ 179

კვირა, 21 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**თავადის ივანე აბაშიძის ასული მართა, თავ. ჯიმბრაილ აბაშიძის ასული ქეთევანი და ეკატერინე გიორგის ასული აბაშიძისა** აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი ძმისა, მეორე ბიძისა და მესამე მაზლისა **თავ. კონსტანტინე ივანეს ძის აბაშიძისას**, სთხოვენ მათ, მობრძანდნენ 18 აგვისტოს განსვენებულის გვამის დასაფლავებაზედ სამშაბათს, 23 აგვისტოს გორის მაზრის სოფ. ცხრა-მუხას წმ. ნინოს ეკკლესიაში. პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველ დღე დილითა და საღამოთი, ორშაბათს—საღამოს 7 საათზედ. (2—1643—2)

**მმართველობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა** ამით აცხადებს, რომ 1 სექტემბერს ტფილისის უმთავრესს საწყობში დილის 10 საათზედ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვა-და-სხვა საგნები, სახელდობრ:

| | ფუთი გირ. |
|---|---|
| ფისი მადნისა | 132—08 |
| გლიცერინადი | 5— 8 |
| მწვანე სინგური ზეთზედ | 9¹/₄ |
| კარდონი შვეციისა 150 ნაჭერი | 54—15 |
| ზღვის ბალახი | 21—28 |
| ხერხი ხელისა | 5440 ცალი |
| ბლანკები სხვა-და-სხვა სერიისა | 230— |
| ტელეგრაფის ძველი აპარატები „მორზეს“ სისტემისა | 15 ც. |
| ცეცხლის საქრობი მანქანა | 2 ც. |
| ფურგუნი | 1 ც. |
| მანქანა წყალში ჩამსვლელისთვის | 1 ც. |
| ძველი ნიჩბების ნამტვრევები ფოლადისა | 150— |
| ბანის სახურავი რკინა | 300— |
| ტელეგრაფის ლენტები | 696— |
| ძველი ქაღალდი | 240— |
| ფხვნილი ქვის ნახშირი (კოკსი) | 165—21 |
| დაწუნებული ფიცრები | 72 ც. |
| წყლის საზომი შუშები | 1319 ც. |
| ფლასები | 32 |

მოსართავი საგნები, მაგ.: ბაირაღები, გერბები და სხვ. ძველი ნივთები: მუშამბა, რულეტკის თასმები, თოკები, ბაირაღების ნაჭრები, რეზინი, მატყლი, ტყავი, მებილი და სხვ. (3—3)

ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთ უმორჩილესად ვაუწყებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში თხოვნების მიღება 25-ს აგვისტოს დაიწყება, მისაღები ეგზამენები კი 27-ს. პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსია თავისუფალი და 7 8 წლის მოსწავლე უეგზამენოდ მიიღება. მეორეში, მესამესა და მეოთხეში 6-8-10 შემთხვევითი ვაკანსია იქმნება. სწავლა 3-ს სექტემბერს დაიწყება.

ინსპექტორი სკოლისა ს. ყიფიანი

(6—6—1)

ს ა ს ტ უ მ რ ო

**«ბანდებილი»**

მთაწმიდის გორაზედ.

ვამზადებ ქართულსა და ევროპიულს სადილს და ვახშამს. მაქვს აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი საუზმას სანოვაგე და სასმელები. ყოველივე სუფთად და წმინდად არის გაკეთებული.

(4—1645—1)

ახლად დაარსებული კერძო

**სასწავლებელი**

სტ. ბ. ხოჯივანოვისა

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, რეალურის სასწავლებლისა და კადეტის კორპუსის პირველ კლასებისათვის.

სასწავლებელი იმყოფება ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზედ, დადიანის ქუჩის შესახვევში, ხოჯივანოვის სახლში.

(3—1646—1)

## ჩინური ენა რუსეთის გიმნაზიაში

—

გუშინდელ ,,ივერიაში'' შეხვდებოდა ჩვენი მკითხველი, იმ ამბავს, რომ რუსეთის მთავრობას საჭიროდ დაუნახავს ვლადივოსტოკის გიმნაზიაში ჩინურის ენის სწავლება შემოიღოს.

მინისტრის განკარგულებაში ამ საგნის შესახებ, ნათლად გამოსახულია ის აზრი, რომ ჩინურის ენის სწავლება რუსეთის გიმნაზიაში სათვალთმაქცოდ-კი არ უნდა იყოს, როგორც სხვა ენების სწავლებაა დღეს გიმნაზიებში, არამედ იგი შესწავლილ უნდა იქნას თეორიითა და პრაქტიკით საფუძვლიანად.

უეჭველია, ამ გვარი განსხვავებული განკარგულების აზრი ის უნდა იყოს, რომ ვლადივოსტოკი ჩინეთის ახლოა ქვეყანაა და იქაურ მცხოვრებთ ხშირად აქვთ ჩინელებთან დამოკიდებულება და მიმოსვლა.

ამ შემთხვევაში, ზემო აღნიშნული განკარგულება, რასაკვირველია, მრავალს სარგებლობას მოუტანს ჩინურის ენის მცოდნე რუსთა და საქმეების წესიერად გაძღოლასაც გაუადვილებს, როდესაც ისინი იძულებული იქმნებიან საურთიერთო რამ საქმე იქონიონ ჩინელებთან.

ევროპის უმთავრესს ქალაქებში ამ გვარი შესწავლა უცხო ენებისა ახალი ამბავი არ არის, და გარდა ამისა ხშირად შეხვდება იქ სხვა-და-სხვა ერის ენის შესასწავლ სკოლებს.

განმარტება და მოწონება რუსეთის მთავრობის ახალის განკარგულებისა, რასაკვირველია მეტია, რადგანაც სარგებლობა და საჭიროება იმ ხალხის ენის შესწავლისა, რომელნიც ბედმა შეგაკავშირათ. თავის თავადაც ცხადია.

მაგრამ, რამდენად უფრო საჭიროა, რომ მთავრობამ ასეთივე სავალდებულო სწავლება შემოიღოს საქართველოს რუსულს გიმნაზიებში ქართულის ენისა, რადგანაც ამ გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულთ შემთხვევით-კი არ გაუჩნდება ხოლმე საქმე, როგორც ვლადივოსტოკის რუსს ჩინელთან, არამედ მოწაფენი ჩვენის გიმნაზიებისა, თვით გარემოების წყალობით ქართველთ ხალხში სცხოვრობენ და საქმე აქვთ ამ ხალხთან ყოველ დღე, ყოველ სფერაში.

ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რაოდენად შეუმსუბუქდებათ საქართველოში მცხოვრებთ და მოხელე რუსთა საქმე; რაოდენად გაუადვილდებოდა ხალხს ყოველგვარი დამოკიდებულება, როდესაც გარემოება აიძულებს მას სასამართლოს, ადმინისტრაციასა და სხვა დაწესებულებას მიჰმართოს. საიდუმლო არ არის, რომ ცუდის თარჯიმნის მიზეზით, და ხშირად უთარჯიმნობისა გამოც უზღვეველი ზარალი მოუდის ხოლმე მთხოვნელს; ნუღარ ვიტყვით იმას, თუ რამდენად მეტი დრო უნდება ხოლმე ნაწერისა და ნათქვამის ერთის ენიდგან მეორე ენაზედ გადაღებას! საუბედუროდ, ამ გადაღებას ხანდახან ისიც მოჰყვება, რომ მტყუანი მართლდება და მართალი მტყუვნდება...ყოველს ენას აქვს ისეთი თავისებური ხასიათი, ისეთი კილო, ხმის მიმოხვრა, რომლის გადათარგმნა და გადაღება სხვა ენაზე ყოვლად შეუძლებელია!

ამას გარდა კარგისა და კეთი-

## ფელეტონი

### ,,ახალ-სინტეზ-სისტემოვანი“ ისტორიული და ხუროთ-მოძღვრებითი მეცნიერება ბ-ნ გ. წერეთლისა.

„მიექცეს სიცრუვე მათი თხემსავე მათსა“
(ფსალმუნი)

(ვუძღვნი ჩემს რიონელ-გოგიტელას)

—

ორი წელიწადი იქნება, რაც გ. წერეთელმა აავსო ჩვენი დუქან-ბაზარი თვისის ისტორიულ წერილებით. ამ წერილებს, ისტორიულ სიცრუვით ყელთამდის აღსავსეს, თვით მათი ავქსონი უწოდს სამეცნიერო გამოკვლევად, და დიდის თავ-მომწონეობით, „რეზონიორობით“ და mania grandios-ობით ქვეყანაში გამოაქვს. ამ თავ-მომწონეობამ გ. წერეთლისამ თანდათან იზარდა და უკანასკნელ ზესკნელ-ცათამდი აღიწია, და ბოლოს გ. წერეთელმა დაგვიწყო ღაღადისი თვით „ხუროთ-მოძღვრებითის და მხატვრობის ისტორიული მეცნიერების“ მწვერვალიდამ. ესრეთი ყოყოჩობა ცარიელ-ტარიელისი და ისტორიულ სიცრუვეთა პატრონისა დიაღ დასაყენებელი იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ხმა არ გაგვიცია.

ხოლო როდესაც გალაღებულმა ავქსონმა იქამდი აიწია ცხვირი, რომ ამ 1894 წლის დამდეგს თავი თვისი პირდაპირ გამოაცხადა ყველა მეცნიერ ისტორიკოსთა უმეცნიერესად და მოძღვრად («კვალი», 1994 წ. № 9), მაშინ-კი ესეთი ბავშვობანა მოსათმენი არ იყო; მაგრამ ჩვენ მაინც ესეც მოვითმინეთ, სანამდი გ. წერეთელმა ძალად არ გამოგვიწვია მისდა საბაასოთ, როდესაც თვისის „პაერონსნულ“ კრიტიკით ჩვენს „ქრონიკებს“ შეეხო. გარწმუნებთ, რომ ამ კრიტიკანობასაც ყურადღებას არ მივაქცევდით თუ რომ გ. წერეთელს თვისი კიტრიკა არ შეეზავებინა ისეთის ცილის-წამებითა, რომლის უპასუხოდ დაგდება ყოვლად შეუძლებელი იყო. მკითხველს ეხსომება, რომ უმთავრესი საგანი „ისტორიულ ოფოფებისა“, რომელიც ჩვენ ვუძღვენით ბ-ნს გ. წერეთელს, სწორედ ეს მისი ცილისწამება გახლდათ, ხოლო დანარჩენი ზედ მიჰყვა ამას „ინერციით“ არა როგორც კრიტიკა (რადგან გ. წერეთლის წერილი სრულის უსაბუთობისა გამო ღირსი არ გახლდათ კრიტიკისა), არამედ როგორც თავდაჯერილი ხუმრობა ბ-ნ წერეთლის mania grandios-ობაზე და „ხუროთ მოძღვრუბითის და მხატრობის ისტორიის“ ცრუ-მეცნიერებაზე, და ჩვენი ნათქვამი შეურყეველ საბუთებით დავამტკიცეთ.

ჩვენი საბუთები ბ-ნ წერეთელმა ვერ დაარღვია და უმეტესი ნაწილი „ოფოფებისა“, თუმცა-კი გულის ტკივილით, შეიწყნარა. მაგრამ რამდენიმე ნაწილი ჩვენის წერილისა გ. წერეთელმან მაინც უარ-ჰყო და ცილისწამებად ჩამოგვართვა (იხ. „კვალი“ №№ 24—28). განსაკუთრებულის სიცხარით გ. წერეთელმა იწყინა „mania granqios“-ობა და ეს თვისება თვით მე გადმომაბერტყა. ამის მაგალითად გვიჩვენა ის ადგილი ჩვენის წერილისა, სადაც დასარღვევად და გასაქარწყლებლად გ. წერეთლის ცილისწამებათა ჩვენ ის მტკიცე საბუთი ვუჩვენეთ, რომ ჩვენს „ქრონიკებში“ შეტანილი ცნობები არა თუ არ ეთანხმება, არამედ სრულიად და საბოლოოდ ამტყუნებს პ. იოსელიანის და დ. ბაქრაძის ქრონოლოგიას და მათსავე ისტორიულს ცნობებს. ჩვენ რომ დ. ბაქრაძის და ა. იოსელიანის ცნობები დაგვებეჭდოს, როგორც გვაბრალებენ, მაშინ ხომ ეს შეუძლებელი იქნებოდა. როგორც ჰხედავთ, ეს აზრი, რომელიც გ. წერეთელმა «უშვერ ტრაბახობად და mania grandios-ობად» ჩამოგვართვა, ჩვენ იძულებით გამოგვითქვამს ცილის მწამებელთა პირის დასაყოფად და არა სატრაბახოდ. ტრაბახობა მაშინ იქნებოდა, თუ რომ გ. წერეთელს გაემტყუნებინა ჩვენი ნათქვამი.

ხოლო რადგან გ. წერეთელი გვიხირდება, თაკილობს „მანია-გრანდიოზობის“ სახელ-წოდებას და ცილისწამებად გვართმევს, ამის გამო იძულებული ვარ ამ წერილში მტკიცე და შეურყეველი საბუთები ვუჩვენო მკითხველთ გ. წერეთლის ეგრეთის თვისებათა. ბ-ნს გ. წერეთელს რომ იოტის ოდენა მაინც ეცხოს იმ მეცნიერებისა, რომელსაც სჩემობს, მაშინ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყველა მისს ნახტომ-ნაოფოფარებს შევუნდობდით: ყოველი კაცი შეცდომისა და ცოდვის შვილნი ვართ; მხოლოდ ღმერთია უცდომელი და უცოდველი. მაგრამ სასაცილო და სამტირალოც ის გახლავთ, რომ გ. წერეთელს, როგორც საბოლოოდ ქვემო დავამტკიცებთ, ნამცეციც არ აცხია მეცნიერებისა და ხუროთ-მოძღვრებისა (იგი მხოლოდ „ჰაეროსანი“ მეცნიერი ბრძანდება!), თუმცა-კი თავისი თავი ყველა მეცნიერ ისტორიკოსთა მოძღვრად და გზის მაჩვენებლად აღიარა, და ეს მისი ახალი „აღმოჩინება“ აჰა ვითარის ზარითა და ზეიმით გამოაცხადა ოცს თებერვალს მიმდინარის 1894 წლისას (იხ. „კვალი“ № 9, გვ. 7—8; რომ გადამახინჯება ვერ ვინ მაბრალოს, ვიტყვი თვით გ. წერეთლის სიტყვებითა):

«დღემდის საქართველოს ისტორიასაო,—მოგახსენებთ ბ-ნი წერეთელი,—ნამდვილი ისტორიკოსი არ აღმოჩენია, და ჯერ არც შესაძლებელია (თქვენს პირს ნაცარი!), რომ ვინმე აღმოჩნდეს“...

ქვემო ცხადად დაგანახვებთ, რომ ავქსონი აქ თვალთ-მაქცობს, თორემ ესრეთი ისტორიკოსი „ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპებიანი“ კიდეც აღმობრწყინებულა თურმე და ჰგიეს ჩვენ შორის: ეს გახლავთ თვით გ. წერეთელი მისის ,,ხელ-სამძღვანელოთურთ''.

,,იქნებაო,—განაგრძობს ბ-ნი წერეთელი,—არც ერთს ერს დედამიწის ზურგზე, რომელსაც ჩვენ დრომდე ცოცხლად მოუტანებია, არ ჰქონდეს მეტი მდიდარი საისტორიო მასალა, რაც ქართველებს შეუნახავთ''...

დიდება შენდა ღმერთო! თუ ამოდენა ისტორიული მასალაც გვქონია, რად უნდა იყოს ,,შეუძლებელი, რომ საქართველოს ისტორიას ისტორიკოსი გამოუჩნდეს''. არ მოგორდეთ! აქაც გ. წერეთელი თვალთმაქცობს და, როგორც ქვემო შემოტანილ მისის სიტყვებიდამვე ადვილად განიჭვრიტება, ბ-ნი წერეთელი აი

ლის, დამოკიდებულების დასაარსებლად ურთიერთ შორის — რაიცა ჩვენის ფიქრით, თანასწორად სანატრელია, როგორც ქართველთათვის, აგრეთვე რუსთათვისაც — საჭიროა, რომ ქვეყანაში მცხოვრებმა კაცმა ამ ქვეყნის ენა იცოდეს.

თუ ჩვენ მართლა ველური ხალხი ვართ — როგორც ბრძანებენ ხოლმე ზოგიერთნი რუსის მოგზაურნი და მწერალნი, რომელთაც არც ენა იციან ჩვენი, არც ისტორია და, არც აწმყო მდგომარეობა და ვითარება, თუ რომ ისტორიულმა შემთხვევამ ჩააბარა დღეს ჩვენი განათლება და დაწინაურება რუსეთის სახელმწიფოს, მაშინ ეს ცრუ მქადაგებელნი, ეს არც სხვისა და, არც თავის ქვეყნის მეგობარნი, უნდა გვეწვივნენ ისე, როგორც მოციქულნი ქრისტესანი, სათნოებითა და ნამდვილის ქრისტიანულის გრძნობით გამსჭვალულნი, და არა მუქარითა და მუშტით... ამას გარდა, ძველი განათლების და უკეთესის ცხოვრების მქადაგებელნი, მოციქულნი ქვეყნების ჭეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად, თავისის ენით-კი არ დადიოდნენ მხოლოდ სხვა ხალხში, არამედ წინდაწინ შეისწავლიდნენ იმ ერის ენას, სადაც სურდათ შეეტანათ შუქი სინათლისა და კეთილის ცხოვრებისა.

მეველე

# დეპეშა

19 აგვისტოს

**პეტერბურგი.** გამოცხადდა წესდება შესახებ იმისა რა წესითა და რიგით უნდა მიეცეს ქარხნების პატრონებს სოლო-ვექსელებით ფული ქარხნების წარმოებისათვის.

# ახალი ამბავი

*** გუშინ ტფილისში ჩამოვიდა არტისტი გალიცკი, რომელსაც შეუდგენია დრამატიული დასი, და დრამატიულ წარმოდგენებს გამართავს ამ სეზონში სახელმწიფო თეატრში. თუმცა ბ-ნ ფორკატიმ შეადგინა ოპერის დასი, მაგრამ თეატრი იჯარით ბ-ნ გალიცკის მისცა დრამისთვის და თითონაც მის დასში მიიღებს მონაწილეობას. ბ-ნ გალიცკის სწადიან აგრეთვე სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის აღებაც, სადაც მას ჰსურს ბალეტისა და ფეერიების გამართვა.

*** კავკასიის რკინის გზის მმართველობას სწადიან სამუმრისოდ ბორჯომის სადგურზე გაჰმართოს საბალნეოლოგიო სადგური რკინის გზის იმ მსახურთათვის, რომელნიც ავად გახდებიან და ექიმი მადნის წყლებსა და ბორჯომის ჰაერს ურჩევს.

*** სამშაბათს 23 აგვისტოს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. საგანი კრებისა: 1) მორიგი საქმენი, 2) საზოგადოების მიერ დელეგატის გაგზავნის შესახებ პეტერბურგში ხილეულობისა და ბოსტნეულობის გამოფენაზედ ამა წლის სექტემბერში. კრებას გარეშე პირთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნ კავალევსკის თავმჯდომარეობით შესდგება საბჭო, რომელმაც უნდა განიხილოს ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრის ბ-ნ ციტოვიჩის პროექტი ახალ წესდების შესახებ სააქციონერო საზოგადოებათა. ავტორს თავისი პროექტი შეუდგენია გერმანიის სააქციონერო საზოგადოებათათვის კანონმდებლობის მიხედვით.

*** საერო განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი პროექტი დედათა სასწავლებლების შესახებ, სახელმწიფო საბჭომ უკან დაუბრუნა სამინისტროს. სამინისტროსთან შესდგება ახალი კომისია, რომელიც ამ პროექტს ხელმეორედ განიხილავს შემოდგომაზედ.

*** ნავთლუღის მცხოვრებლები სთხოვენ ტფილისის გუბერნატორს, ნება დართეთ პროვიზორ ფულინოვს ნავთლუღში აფთიაქი დააარსოსო, რადგანაც ამ ჟამად ნავთლუღში აფთიაქი არ არის და ნავთლუღელები იძულებულნი ვართ წამლების სასყიდლად ავლაბარში ვიაროთო.

*** მალოროსთა დასი თუთაევის თეატრიდგან სამშაბათს საზაფხულო თეატრში გადადის.

*** თავის ნებით ჯარში შესულთათვის, რომელთაც ტფილისის იუნკრის სკოლაში უნდათ შესვლა, მისაღები ეგზამენები 25 აგვისტოს დაიწყება.

*** აგვისტოს გასულს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება აპირებს სიღნაღის მაზრაში ბოდბისის ჭალასთან გამოსცადოს სამეურნეო იარაღები, რათა გააცნოს მცხოვრებთ მიწის შესამუშავებელი და სხვ. სამეურნეო იარაღის ხმარება. ამ საქმის ხელმძღვანელებად საზოგადოების საბჭოსაგან ამორჩეულნი არიან: ვ. ნ. გეევსკი, ნ. პ. ტარატინოვი, ა. ს. ფირალოვი, ს. პ. ზელინსკი, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ი. რ. ანდრონიკაშვილი, ი. გ. სარაჯიანი და ვ. ნ. ჯაფარიძე.

*** თელავი: თელაველებს განუზრახავთ ერთი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმე. ორმოც-დაათი კაცისაგან შემდგარა საზოგადოება, რომელთაც უნდა გაჰმართონ დილიჟნები თელავსა და ტფილისს შუა ნაკლების ფასით ვიდრე ეხლა არის. ამ აზრით გამოუღიათ თითოს ასი მანეთი და საქმესაც შესდგომიან. საქმე საქებია და სამადლობელი, მაგრამ საქმის დაწყებისათანავე თელაველებს თელაველობა დასტყობიათ. მეთაურად, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, იმისთანა კაცი ამოურჩევიათ, ცხენებისა და ყველა საჭირო იარაღის სასყიდლად იმისთანა კაცი გაუგზავნიათ ტფილისში, რომელსაც თავის დღეში ცხენი არ უყიდნია და ცხენზედაც მგონი სულ სამჯერ არა მჯდარა. ცოტა სიფთხილე ჰმართებთ, თორემ ამისთანა კაცს საქმის დაწყებისათანავე ისე თვალებს აუბამენ, რომ ას თუმნიან საქმეს სამასად დაუსვამენ და ფაშატ ცხენებს ულაყებად მიჰყიდიან. ვისურვებთ ამ საქმის კეთილად და კარგად წარმართვას.

*** ს. ასკანა (ოზურგეთის მაზრა), 12 აგვისტო. ჩვენს სოფელში დარებიც კარგია და ჭირნახულიც, მხოლოდ ცოტა ყურძენმა დაიგვიანა დამწიფება, თორემ ისიც საკმარისად გვექმნება. საზოგადო და სასუფლო გზები, ადგილობრივი მამასახლისის მჭ—ის მოთავეობით მეტად კარგად კეთდება და რაოდენადმე გაკეთებულიც არის.

18 ივლისს ერთს ჩვენს ღარიბ მოვაჭრეს, დ. ას—ნს, დაუბურღეს დუქნის კარები, შევიდნენ შიგ და გამოაცალეს რამდენიმე მანეთი და ცოტ-ცოტა ნივთებიც ზედ დაამატეს. 22 ივლისს მეორე სოფლის დუქანში შებრძანდნენ ეს ბატონები და იქიდგანაც გაიტანეს, რაც-კი ხელში მოხვდათ. ერთის სიტყვით, მთელი ასკანის საზოგადოება მოწადინებულია წარმატებასა და განათლებას. აქ არსებობს ახლად დაარსებული წიგნთსაცავი და ეხლა აშენებენ ორ-კლასიანს სასწავლებელს.

*** ბორჩხა: ჭოროხის მენავეებისთვის მძიმედ დატვირთულის ნავის ტარება ძალიან საშიშია ამ ჟამად, რადგან დიდ-გვალვებისა გამო თითქმის პატარა ღელეს დაემსგავსა ჭოროხი. მაისიდგან დაწყებული ნოემბრის დამლევამდის მენავეები აქედგან ეზიდებიან ხილს, და ფუთობით იღებენ ქირას; ამის გამო, რასაკვირველია, მეტს აწყობს ნავში, რათა ბევრი ქირა აიღოს ბათუმამდის. ამისდა მიუხედავად, რომ წყალი პატარაა და დიდის ტვირთის ჩაწყობა საფრთხილოა ნავში, კაცებსაც, რამდენიც შეხვდება, ჩასხამენ ხოლმე და ჯან-საღად და საღ-სალამათად ჩაიყვანს თუ არა ამისის დარდით ესენი თავს არ იწუხებენ. აი, ამისთანა თავგასულმა მენავეებმა კინაღამ 9 ამ თვეს სოფ. კირნათთან დაღუპეს ბათუმის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ზაგაინი თავისის თარჯიმანით, რომელნიც ბორჩხიდგან მიდიოდნენ ბათუმს. კიდევ კარგი, რომ იმისთანა კლდეზედ დააჯახეს ნავი, სადაც შეიძლებოდა გადახტომა და კლდეებზედ ფეხის გამაგრება, რის გამოც ცოტა დასველებით გადარჩნენ, თორემ ზოგი კლდე იმისთანაა, რომ, არა თუ კაცი, ვარეული თხაც-კი ფეხს ვერ მოიკიდებს. ამისთანა შემთხვევა, ძალიან ხშირად არის ხოლმე, და ეხლა მაინც იმედი ვიქონიოთ, რომ ყურადღებას მიაქცევენ ვისიც ჯერ არს, და აღუკრძალავენ ბევრის ტვირთის ჩაწყობას ნავში.

*** გუშინდელს ნომერში გაზ. „ნოვ. ობოზ.“ დაბეჭდილი იყო, რომ ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ სარევიზიო კომისიამ ქალაქის გამგეობის წიგნები და დავთრები არეულ-დარეული ჰპოვა და დახარჯული ფული რიგზედ არ არის ამ დავთრებში აღნიშნულიო. ამის გამო გუშინ ქალაქის მოურავმა განკარგულება მოახდინა, ნუღარ გაუშვებთ და ნუღარ მისცემთ ცნობებს გაზეთის თანამშრომელს ბ-ნ იუნიჩსაო. ამის გამო, როგორც შევიტყეთ „ახალ მიმოხილვის“ რედაქციას საჩივარი შეუტანია ბ-ნ ტფილისის გუბერნატორთან და სთხოვს ამ განკარგულების გაუქმებას.

*** გაზეთ „კავკაზის“ სიტყვით,

---

რას ამბობს: ისტორიკოსი აქამდი არ აღმოჩენილაო, რადგან ამ 1894 წ. არ იყოო დაბადებული ის „ხელ-სამძღვანელო“, რომელიც მას დაუწერია ისტორიკოსთა ხელ-სამძღვანელოდ, და ამის იქითაც ვერ გამოჩნდება ისტორიკოსი, თუ მეცნიერთა ეს მისი „ხელ-სამძღვანელო“ არ შეისწავლეს.

ამას შემდეგ ბ-ნი წერეთელი თითებზე ჩამოსთვლის დიდ-დიდს ჩვენს ისტორიკოსებს, აქებს მარი ბროსსესა „ისტორიით გაბმულს ქსელს“, აქებს მას, როგორც საისტორიო მასალების შემკრებ-გამომცემელს და მისსავე „ცხოველ-მყოფელს ქისტსა“ (?!). ეს თვისი „ქისტი“ ბროსსემ თურმე „წაკრა ქართველს გონება-გახვითარებულს თაობას (ვერაფერი ზდილობა-კი მოსვლია!), რომ შემდეგ თვითონ იგი მესდგომოდა ქართული (sic) ისტორიის წყაროთა კვლევას და შუქის მოფენას“. მაგრამ ამ უზარმაზარს ბროსსეს ნაშრომებსაც „პრინციპი, დედა-აზრი და სისტემა აკლიაო“ და როგორც სხვები, იგიც „იბნევა და ირევაო თვისსავე გამოკვლევაში“. ბროსსეს შემდეგ დ. ბაქრაძემ „მთელი თვისი ცხოვრება შესწირაო კომმენტარიას... მაგრამ ისტორიულ მასალის სიმრავლემ ისე დაამძიმა (საცოდავი!), დატვირთა მისი კვლევა, რომ ვეღარ შესძლო გზის გაკვლევა და თვით კომმენტარიის სიმრავლეში დაიბნა... დ. ბაქრაძეს დარჩენ (ჩიქორთული!) მიმკვიდრენი (ე. ი. გზა-დაბნეული კომენტატორები): ალ. ცაგარელი, ეფ. (?) თაყაიშვილი, თ. ჟორდანია (იხილეთ!) და სხ.“...

„მაგრამ, როდესაც დაწვრილებით თვალ-ყურს ვადევნებთ (დაწვრილება თვალ-ყურისა „ახალ სისტემის“ ქართული გახლავთ; თქვენ-კი ღმერთმა ნუ დაგიწვრილოსთ!) და შევისწავლით მ. ბროსსეს, დ. ბაქრაძის და მათთა მიმდევართა კვლევას, ცხადათ ვრწმუნდებით (ე. ი. გ. წერეთელს შეუსწავლია და დარწმუნებულა კიდეც), რომ მათ(ს) გამოკვლევას ერთი ხელ-სამძღვანელო (ე. ი. სახელ-მძღვანელო) პრინციპი, დედა-აზრი, სისტემა აკლია. ისინი იბნევიან და ირევიან (საცოდავნი!) თვისსავე გამოკვლევაში. ჩვენის აზრით ეს იქიდამ წარმოსდგება, რომ არც-ერთს მათგანს ზედმიწევნით არა აქვს შესწავლილი საქართველოს მატიანე... და საერთო ისტორიული ქსელი მატიანის საფუძვლიანი (sic) ცოდნით მოშლილი არა აქვს მათს გამოკვლევას გატარებული... მთელს მათს კომმენტარიებს შეუმუშავებლობის კვალი ატყვია (კარგი მუშები ბრძანებულან!), მოკლებულია (ე. ი. ყველა წინანდელი ისტორიკოსები) ისტორიულს სინტეზს“ (ესენი კარგად დაიხსომეთ!).

ამას იქით ბ-ნი წერეთელი მოგვითხრობს, რომ რადგან „ქართველ ახალ-გაზდა მეისტორიეთა ხელთ არა აქვთ სისტემატიურად განხილული ფაქტები (ცოტა ბურუსია, მაგრამ ნუ შეშინდებით!) ამისთვის მათ მიერ შემუშავებული ისტორიული ხანა ჭკარგავს მეცნიერულს ღირსებას (მართალიც გახლავთ, ხუმრობის გარეშე!), იგი გამოდის მკვლევარის ფანტაზიის ნაყოფი (თქვენს პირს შაქარი და ერბოც, ბატონო წერეთელო: სწორედ ეს გახლავთ თქვენი ტკივილი!) და სიხათლის მაგიერად კიდევ უფრო ბინდში (და ბურუსშიც), ეხვევა ჩვენი ისტორიული წარსული (ღმერთმან გადღეგრძელოთ, ჩინებულად გცოდნიათ თქვენი «პსიხოლოგია»: სწორედ ამ სასაცილო „ოფოფობაზე“ მე თქვენთან მაქვს დღეს სამდურავი!).

ამ გვარად გ. წერეთელმა ცხადად დაამტკიცა, რომ ყველა მეისტორიენი, ძველნი და ახალნი, ერთიანად „ირევიან და იბნევიან“, რადგანაც ერთს არ ჰქონია შესწავლული ჩვენი მატიანე და „დაჰმძიმებიათ გონება“ ისტორიულ მასალის სიმრავლის გამო. მაგუმთავრესი მიზეზი მათის ბჩაობისა და უგზო-უკვლოდ ხეტიალისა ის ყოფილა თურმე, რომ „მათ ხელში არ ჰქონიათ სისტემატიურად განხილული... ფაქტები“ ანუ ისეთი „ხელ-სამძღვანელო“ ანუ სახელმძღვანელო ახალ „პრინციპებისა, დედა-აზრებისა და სისტემისა ისტორიულის სინტეზითურთ“, რომლის უქ ქვეშ-ლა შესაძლებელია საუკუნეთა ნისლ-ბურუს-წყვდიადებში უშიშრად და უხიფათოდ სიარული.

ესრეთს სანეტარო თილისმას, ამ საწადელს ახალ სისტემ-სინტეზ-პრინციპებიანს „ხელ-სამძღვანელოს“, ამ უკვდავების წყარო-ლამპრებსა თურმე გვიმზადებს (და, როგორც დაგანახვებთ, კიდეც მოუმზადებია) თვით ბ-ნი გ. წერეთელი, როგორც თვითონვე გვაუწყებს იმავე თარიღით და იმავე „კვალის“ № 9-ში: „აი ეს არის (ე. ი. ყველა წინანდელ-აწინდელ მეისტორიეთა გზა-კვალის დაკარგვა და განებითი დამძიმება) უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენ ვიგისრეთ, ჩვენის ქართულის მატიანეს დაწვრილებით შესწავლით (რადგან სხვებს მატიანე არ შეუსწავლიათ) გამოვარკვიოთ ერთი საზოგადო ისტორიული სისტემა *) (საზოგადო განხილვის აზრი) **) და ამის მიხედვით დავაფასოთ თითოეული ხანა ჩვენის ისტორიისა... რათა (ამით) გავუადვილოთ შრომა ჩვენს მკვლევრებს და კომენტატორებს... ასეთი განზრახვა აქვს სარჩულად დადებული ყველა ჩვენს ისტორიულს მონოგრაფიებს, რომელნიც „კვალში“ დაიბეჭდენ (Sic) და ასეთივე (სარჩული) ექნება აწინდელს ჩვენს ისტორიულს გამოკვლევასაც“.

მორჩა და გათავდა! ნუ თუ ეხლაც ვერ დარწმუნდით, რომ ყველა ძველნი და აწინდელნი მეისტორიენი ნისლ-ბურუსში ყოფილან იმის გამო, რომ ქართული მატიანე არ შეუსწავლიათ და „ახალ სისტემ სინეზ-პრინციპ-დედა-აზრიანი ხელ-სამძღვანელო“ არ ჰქონიათ. მაგრამ, დახეთ! ეს „ხელ-სამძღვანელო თურმე ეხლა დაბეჭდილიც და გათავებულიც ყოფილა გ. წერეთლის მწვრილ-მწვრილ ისტორიულ სტატიებში. ეხლა კი გაგვითენებია დღე და განბნეულა ბურუსი „დამძიმებულთა“ თავთა ბროსსე-ბაქრაძე-ცაგარლისა და სხვათა ახალთა მეისტორიეთა და ჰშველებია „დამძიმებადთა თავთაცა“ მომავალ მეისტორიეთა. ერთის სიტყვით ეხლა ხელთა გვაქვს ლამპარი გზის გამოსაკვლევი და ვინც კი ამ ხელ-სამძღვანელოს იყიდის („სამეცნიერო ნახატებიან გაზეთს „კვალში“), უთუოდ გადიდ-ისტორიკ-ხუროთ-

*) მთელს საევროპიო ისტორიკოსებს ვერ გაუგიათ აქამომდე ეს ბურუსი?

**) ეს უარესი ბურუსია: რა ხილია «საზოგადო განხილვის აზრი». უთუოდ ახალ „სისტემის“ აზრი იქნება?

ბ-ნს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს კ. პ. იანოვსკის ტფილისში 22 აგვისტოს მოელიან.

⁂ 15 აგვისტოს, დღისით, ბაქოში, ბაქოს რეალურ სასწავლებლის მასწავლებელის ბ-ნი რიჟოვის სახლში საშინელი უბედურება მოხდა, თურმე მასწვლებლის ცოლი სპირტით სავსე ბოთლს ლაქით ჰბეჭდავდა, რომ სპირტი არ ამომქრალიყო, ცეცხლმა ჩაატანა ბოთლში, რომელიც უეცრად გასკდა და რიჟოვის ცოლს კაბაზედ გადაექცა. კაბას მაშინვე ცეცხლი მოედო და ქალმა ყვირილი შეჰქმნა, მიშველეთო, მაგრამ მანამ საწყალს მოეშველებოდა ვინმე ცხვირ-პირი, ხელები, მუცელი და ფეხები დაეწვა. ქალის ყვირილზედ მოსამსახურე ბატიუშკოვი შემოვიდა, ქრობა დაუწყო, მაგრამ თითონაც ხელები დაიწო. საცოდავის ქალის გადასარჩენად მაშინვე ყოველივე საშვალება იხმარეს, და შემდეგ საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ ძნელად თუ გადარჩესო, ამბობს გაზეთი ,,კასპი''.

⁂ გაზ. ,,მშაკი''-ს კორესპონდენტის სიტყვით, სულიერმა მოძღვარმა ყარსის ოლქში მცხოვრებ დუხბორუბისამ ვერიგინმა მიჰმართა თურმე თავისს სამწყსოს და უთხრა, რომ სასტიკად ალმიკრძალავს თქვენთვის ლოთობაო და თამბაქოს წევაო; ქალებს-კი ურჩევს, რომ რაც შეიძლება ერიდეთ ქალაქში სიარულს, სადაც საცთუნებელი არ აკლი, და გარყვნილება ჰქეფობსო.

უმთავრესად ვერეგინი-კი თავის სამწყსოს იმას ურჩევს, რომ მდიდართ და ღარიბთ თავიანთი მოძრავი და უძრავი ქონება საზოგადოებას უნდა გაუნაწილონო. დუხაბორები დასთანხმდნენ თურმე და ისე მოიქცნენ, როგორც მოძღვარი ურჩევდა. ,,მე თითონ ვიყავი მოწამე, ამბობს კორესპონდენტი, როცა ერთმა 8,000 მან. და მეორემ 20,000 მან. მოიტანეს და საზოგადოებას გადასცეს.

400 დედაკაცმა მოიყარა თავი სოფ. ეფიმოვკაში და რაც მომეტებული ტანთ-საცმელი ჰქონდათ, ღარიბებს დაურიგეს.

⁂ სამეჯინიბო საქმის გამგებელმა როტმისტრმა ბერგმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 18 ამ თვისას კამოდიდგან 133 მან. მომპარესო.

⁂ ამავე დღეს ყაზარმასთან მტკვარში დაიხრჩო ჯარის კაცი შამხურ მელნიკი.

⁂ 19 მარიამობას თვეს მტკვარშივე დაიხრჩო ვიღაც მუშა.

⁂ 19 ამ თვისას ღამით ტფილისის საკანტროლო პალატის განცელარიის მოხელემ ვლადიმირ გარაისკიმ სრულიად უმიზეზოდ ალექსანდრეს ბაღში რევოლვერი გაისროლა. ტყვიამ ახლოს გაურბინა იქვე მყოფს პოლიციელს კრივენკოს, კრივენკომ გარაისკი პოლიციაში წაიყვანა, იქ ოქმი შეუდგინეს და პასუხის-გებაში მისცეს.

⁂ სოფ. გვაცკეტის მცხოვრებელმა სოლომონ სანგანელიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 17 მარიამობისთვეს ავჭალის ქუჩაზედ, სადაც თორნე მაქვს გამართული, 80 მ. ღირებული ქამარი მომპარესო.

---

## დამაკვირდი

კაცი ბატონი უნდა იყოს თავის ქონებისა და არა მონა.

სენეკა.

**

თუ ერთი და იგივე საქმე ორმა გააკეთოს, ის საქმე ერთი და იგივე აღარ იქმნება.

ტერენტიუსი.

**

სიტყვა—ყვავილია, საქმე—ნაყოფი.

ალ-ჰარიზი

---

## კორესპონდენცია

**სოფ. ბოჩხა** (ჭოროხის ხეობა). 11 აგვისტო. როგორც ამ ხეობისა, ზედა და ქვედა აჭარასა და ართვინის ოლქში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს, კაცმა რომ სთქვას, აქამდისაც არა ჰქონდათ გული აქ დარჩენისა და ცხოვრებისა სხვა-და-სხვა შიშისა გამო და ამ ბოლო დროს ხომ მთავრობის განკარგულებამ ბოლო მოუღო ამათ აქ დარჩენის იმედს. მიზეზი ამათის აქაურობაზე გულის აყრისა, როგორც ვატყობთ და გვესმის, ბათუმისა და ართვინის ოლქებში ტყის მცველების დანიშვნა უნდა იყოს, რომელსაც აგერ ორი თვეა, რაც ადგილობრივი ადმინისტრაცია აბარებს ტყესა და სხვა მამულებს. ამ რამდენისამე წლის წინად, მაშინ, როდესაც მაჰმადიანებს სამხედრო ბეგარის ნაცვლად ფული შეიწერეს, ამათ ეგონათ, ცოტახას უკან ფულს აღარ გამოგვართმევენ, ჯარის კაცებს გაიყვანენო. თუმცა ჯერაც არავის გაუყვანია აქედგან ვინმე ჯარში და არც საჭირო არის ამათი ჯარის კაცები, მაგრამ ესენი მაინც შეაშინა იმ დროებით. ახლა-კი სჯერათ, რომ აქედგან ჯარის-კაცებს არ გაიყვანენ და ბევრმა-კი ამისი შიშით დასტოვა თავისი სამშობლო და გარდაიხვეწა ოსმალეთში. ამ ნაირად სოფლელის დაფრთხობის მიზეზი, როგორც მოგეხსენებათ, ხოჯა-მოლები იყვნენ, ურომლისოდ აქ არაფერი კეთდება და სოფლებში მათის ქადაგების წყალობით მართლაც ბევრმა ფუხარამ დაანება თავი თავისს დედულ-მამულს და გადასახლდა ოსმალეთში, სადაც თითქმის ნახევარი მათგანი შიმშილ სიცივემ იმსხვერპლა. უსათუოდ, თუ სადმე სამართალია, იმათი ცოდვა უნდა ეკითხოს ხოჯა-მოლებს, რომელთა მეოხებით ამდენი ქალ-ბაღანა გადიკარგა თავისის სამშობლო ქვეყნიდგან.

ახლა აქაურს ფუხრებს ეშინიანთ ტყის მცველებისა, ვაი თუ ისე აღარ მოგვცენ ნება ტყის ხმარებისა, როგორც გვიხმარია დღემდისო და ტყე-კი ჩვენთვის თითქმის ზამთრობით საგებიც არის და სახურავიცო, რადგან აქეთკენ დიდი ზამთარი და ყინვები იცის. მართლაც, თუ ფუხარას მთელი ღამე ცეცხლი არ უნთია ბუხარში, მარტო ქვეშაგების ამარა ვერ დარჩება, რაც უნდა ბევრი ქვეშაგებიცა ჰქონდეს, თუმცა ბლომად ქვეშსაგებიც არც ერთს არ მოეპოვება, რომ უცეცხლოდ იოლად წავიდეს. თუმცა ტყის მცველებიც, სადაც-კი მიდიან სოფლებში, ყველას იმას უქადაგებენ, რომ თქვენ ნუ გეშინიათ, თქვენთვის რაც-კი საჭირო არის, მთავრობისაგანაც ნაბრძანები გვაქვს, არ დაგიშალოთო და როგორც დღემდის გიხმარიათ, ისე იხმარებთ ტყესაო, მაგრამ ტყის მცველები ვის დააჯერებენ, როდესაც ამ მოლა-ხოჯებს წინა კაცებიც მიემხრნენ ფუხარის საუბედუროდ. ეს ალა ეფენდები თითით უჩვენებენ ხოლმე, არდაგნის ოლქში ერთი ჭვირთს ნუკერს ვერ მოსჭრის ფუხარა, სანამ სახელმწიფო ხარჯს არ გადიხდისო და თქვენც ამისთანა დღე დაგადგებათო ხვალ არა ზეგაო. აქაური წინა კაცები თუ მოინდომებენ, ამათ შეუძლიანთ საწყალი ხალხი გააჩუმონ და შეაგონონ, რომ არსად არ იჩივლონ ამის გამო, რადგანაც ამისთანა უსაბუთო საჩივარს თითქმის ყურადღებას არავინ მიაქცევს. მაგრამ, მაგარიც ის არის და სამწუხაროც, რომ ესენი უფრო აქეზებენ ფუხარას და ეუბნებიან, ჩვენ მოგვეცით სამგზავრო ფული, წავალთ ქუთაისში, ტფილისში და იქიდგან მოვიტანთ ბრძანებას, რომ ტყის მცველები არ იყვნენო. რასაკვირველია, საწყალი სოფლელებიც იმათ უჯერებენ და უარს ვერ ეტყვიან თავიანთ წინა კაცებს, მართალი ჰგონიათ იმათი დაპირება, კრეფენ მოსახლეზედ 40—50 მანეთამდის საგზაო ფულს, ირჩევენ თავიანთ საზოგადოებაში ერთს წინა კაცს, აძლევენ ამ ფულს და ჰგზავნიან ქუთაის-ტფილისში. ისინიც სიამოვნებით იღებენ ამ კარგს და სასარგებლო მოვალეობას, დიდის სიხარულით დადიან ამ ქალაქებში სხვისის ნაშრომ-ნაოფლით და ორიოდე გროშიც ჯიბეში რჩებათ. გააკეთებენ რასმეს თუ არა ფუხრის სასარგებლოდ, ამისთვის ბევრად თავს არ იწუხებენ. როგორც გავიგეთ, რამდენსამე საზოგადოებას კიდეც შეუწევია საგზაო ფულები და გაუგზანიათ ვექილები უმაღლეს მთავრობასთან, ტყის მცველი არ გვინდაო. ბევრჯერ ყოფილა იმისთანა შემთხვევა აქაურობაში, რომ ამისთანა ვექილებს ბლომად აუღიათ ფუხრისაგან ფული, არაფერი გაუკეთებიათ და მერე ცემა-ტყეპით დამთავრებულა საქმე. საფიქრებელია, რომ იმისთანა არა სასიამოვნო ცემა-ტყეპის მოწამე ახლაც გავხდებით, თუ რომ საწყალი ხალხი კიდევ მოატყუეს.

უსათუოდ ამისთანა წინა-კაცების მოწყალებას უნდა მიეწეროს, რომ თითქმის დაცარიელებულა ეს ქვეყანა და მესამედი ნაწილი არ დარჩენილა იმისი, რაც ოსმალეთის დროს ყოფილა აქ. როდის იქნება ის ბედნიერი დღე ხალხისთვის, რომ ამისთანა ვექილებს თავიდგან მოიშორებდნენ; იქნება მაშინ დაწყნარდეს და გულ-დადებით მოუაროს თავისს დედულ-მამულს.

საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა ქალაქ ისმითის (ოსმალეთშია) შესახებაც ვსთქვათ. ეს ამბავი გვიამბო ამ ერთის კვირის წინად იქიდგან მოსულმა, რომელიც გადასახლებულა აქედგან ამ ექვსის წლის წინად. გავიგე, რომ ისმითიდგან მოსული ერთი მაჰაჯირი თავისის ხისიმებისა და მეზობლების სანახავად, (უფრო თითო და ორ-ორი ოყა ჰირნახულის მოსაკრებად). გავგზავნე კაცი და მოვაყვანინე, რადგან მინდოდა ისმითის მაჰაჯირების ამბავი მეკითხნა, უფრო იმიტომ, რომ ვიცოდი ამ ჩვენის ხეობის მაჰაჯირები იქ იყვნენ დასახლებულნი. სალამის მიცემისა და ართმევის შემდეგ, ჩემს სტუმარს მოართვეს ფინჯანით ყავა, ჩვეულებისამებრ უშაქროდ. ჯერ ვკითხე სტუმარს,

---

მოძღვრდება და დღეც მაგას გაუთენდება, აი!

ახლა გთხოვთ მთელი თქვენი გონებრივ-ზნეობრივი ძალ-ღონე შემოიკრიბოთ და გამოიცნოთ, რას ჰნიშნავს ის პირველივე ქარ-ნისლ-ბურუსიანი ფრასი გ. წერეთლისა, რომლითაც მან ესრედ დაგვაღონა: „დღემდის საქართველო ისტორიის ნამდვილი ისტორიკოსი არ გამო (ს) ჩენია, და ჯერ არც შესაძლებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს''?! თქვენი-კი რა მოგახსენო, ხოლო მე ეს საყურადღებო ფრაზები ესრე მესმის: დღემდის ისტორიკოსი არ გამოგვჩენია, რადგან გ. წერეთლის «ახალ-სისტემ-სისტეზ-პრინციპებიანი'', ქართულ მატიანის დაწვრილებით შესწავლაზე დამყარებული „ხელ-სამძღვანელო“ დღემდის არ აღმოგვჩენია; ხოლო მომავალშიც შეუძლებელია რომ ისტორიკოსი აღმოჩნდეს, თუ გ. წერეთლის ,,ახალ-სისტემ-სინტეზიანს ხელ-სამძღვანელოს'' არ შეისწავლის და თვალის არ აახელს! ეს ისე ცადია, როგორც მზე. ჰხედავთ, ჩვენი მზე კიდეც აღმობრწყინებულა, მაგრამ ჩვენი თავები მაინც ნისლ-ბურუსით ყოფილა დამძიმებული და დაბეჩავებული, რომ აქამომდე ვერ მიგვიგნია იმ ,,ახალ-სისტემ-პრინციპ-სინტეზიანის“ ისტორიკოსისთვის, რომელსაც დაუწერია თურმე ახალი ,,ხელ-სამძღვანელო'' ყოველთა საისტორიო მეცნიერებისთვის მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა, რათა ამ „ხელ-სამძღვანელოში“ მათ ჰპოვონ გზა ჭეშმარიტი და განსასვენებელი საუკუნო და უტყუარი. არ იფიქროთ, რომ ,,ახალ-სისტემ-სისტეზიანი ხელ-სამძღვანელო'' უბრალო მეისტორიეთათვის იყოს დაწერილი,—არა!—ის დაწერილია თვით მეცნიერთა ისტორიკ-არქეოლოგ-ხუროთ-მოძღვართა ,,ხელ-სამძღვანელოდ'', ე. ი. შემოქმედი ამ ,,ხელ-სამძღვანელოსი'' გზის მაჩვენებელია, მასწავლებელი, მოძღვარი და „ხელ-მძღვანელი“ თვით მეცნიერთა, მოძღვარი მოძღვართა, ვითართა უჰაეროვნესი მეცნიერთა შორის და უზეშთაესი ხუროთ-მოძღვართა შორის! ,,შაბაშ სიტყვა! შაბაშ კაცი! შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!!'' (რუსთაველი, ხ. 781).

ნუ თუ, ბ-ნო გ. წერეთელო, ეს მაინც mania grandios-ობა არ არის, რომელსაც თქვენ ესრე გადაჭრით უარ-ჰყოფთ თქვენში და ჩემს თავდაჭერილს შეხებას ესრეთის თქვენის თვისებისას სიცრუედ და ცილის-წამებად ჰსახავთ?

მაგრამ რას ვამბობ, დეე ვინც რამდენიც გინდა იტრაბახე და ი-mania grandios-ე, ოღონდ-კი საქმე გააკეთე. არც დიდი გასაკიცხია კაცი, თუ დაიტრაბახებს იმას, რასაც იქმს ანუ უქმნია. ტრაბახა იმას ჰქვიან, ვინც თვისს სიტყვას საქმემდი ვერ აღწევს, ვინც განზრახ მიიწერს ისეთს ღირსებათა, რომელნიც მას არა აქვს; ერთის სიტყვით ვინც განგებ ატყუებს საზოგადოებას დაუკმაყოფილებლად თვისის მწვრილმან თავმოყვარეობისა. ამის გამო ბ-ნ გ. წერეულის ესრეთს უუდიადესს mania gsandio-ობას ყურიც არ უნდა ვათხოვოთ, თუ-კი ესრეთის დიდის აზრის მქონებელი, ცოტაოდენს სიმართლეს მაინც შემოგვძლვნის და ერთის გოჯით მაინც წინ წასწევს ჩვენს ისტორიულს მეცნიერებას. ბევრიც და უმრავლესიც რომ იცრუოს ბ-მა გ. წერეთელმა, მაინც პატივცემით მოვეპყრობოდით მას, თუ რომ მისს ნაწერებს მეცნიერებისა იოტის ოდენა მაინც ეცხოს, სუნი მაინც უდიოდეს. მაგრამ, ვაჲ ჩემდა, სწორედ ისა მკლავს და მტანჯავს, რომ ესრეთს მეცნიერთა „მოძღვარს» და სამეცნიერო გამოკვლევათა „ხელ-სამძღვანელოს“ დამწერს არა გაეგება რა არც მეცნიერებისა, არც სამეცნიერო მოძღვრებისა და არც ხუროთ-მოძღვრულის „ხელ-სამძღვანელოსი“, არც იმ ,,ახალ სისტემის სინტეზ-პრინციფებიანის'' ნისლ-ბურუსისა, რომლითაც მან ჩვენ არა-სპეციალისტებს და სპეციალისტებსაც ესე გარგვიჭედა ყურები, დაგვიმძიმა თავები, აგვირია გზა და კვალი და მოღორების უფსკრულ-წყვდიადებში ჩაგვყარა შეუბრალებლად, განუკითხველად. სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენდა ესრეთსა მჩხავანა ხუროთ-მოძღვარს, როგორც ახლავე დავამტკიცებთ, ვერ დაუძლევია არა თუ მეცნიერულნი გამოკვლევანი ბროსსესი, ბაქრაძისა და სხვათა, არამედ არ ჩაუკითხავს თვით ის ქართულ მატიანენი, რომელნიც აქამომდე თურმე არც ერთს ისტორიკ-არქეოლოგს, გარდა თვით გ. წერეთლისა, ,,დაწვრილებით არ შეუსწავლია'', როგორც თითონ გვარწმუნებს. მას ხელში აქვს მხოლოდ სამიოდ საკითხავი წიგნი პავლინოვის ,,გეგმებითურთ'', რომელზედაც იგი ასე თამამად და თავ-მომწონედ გაიჯირით-გამოიჯირითებს ხოლმე. ამასთან გ. წერეთელს, სამწუხაროდ, ის სასტიკი სენიც სჭირს, რომ თვისს საკითხავ წიგნებსაც არ უჯერებს და ძალიან ხშირად თვისს საკუთარს ფანტაზიებს ურევს. ,,ალმა ფრენა'' და საფანტაზიო ჰარ-სფეროებში ნავარდობა პოეტების საქმეა, ხოლო არქეოლოგნი და ისტორიკოსნი სულ ფაქტებს უნდა ეკრან. პოეტობისა-კი ოდესმე მართლა უცხო გ. წერეთელს და მისი პოეტური ფანტაზია, ამდენს ხანს უქმად მყოფი და დაქვეითებული, ცუდს სამსახურს უწევს მისს ხუროთ-მოძღვრულ-მხატვრობით-ისტორიულ-არქეოლოგიურს მეცნიერებას, რომელთაც სჭირია შრომა, ფაქტები, დაკვირვება და ყველაზედ უმეტესად ფხიზელი გონება.

რომ გ. წერეთლის ისტორიული წერილები, საისტორიო მეცნიერების ,,ხელ-სამძღვანელოდ'' დაწერილი ,,ახალ-სისტემ-სინტეზ-პრიციპებითურთ'' მოკლებულია ყოველს თვისებას მეცნიერებისას და უბრალო „აბდაუბდა-გადასკუპდა“-ს წარმოგვიდგენს, ამისი აურაცხელი შეურყეველი საბუთები და ნიმუშები იპოვება თვით იმ მისს მეცნიერულ სტატიებში, რომელნიც მას დაუწერია მეცნიერთა ,,ხელ-სამძღვანელოდ'' და აგრეთვე მისსავე ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპებით დაწერილს მისს მეცნიერულ კრიტიკაში, რომლითაც მან გამოიქუხა ჩვენის ,,ქრონიკების'' და ,,ისტორიულ ოფოფების'' გასაქარწყლებლად.

(შემდეგი იქმნება)

სტამბოლის მიწის ძვრისა და ზარალის ამბავი, მერე მოვყევით მუსაიფს მაჰაჯირების შესახებ. მითხრა, რომ მაჰაჯირები ისმითში უფრო მდიდრად არიან, ვიდრე ღარიბადაო, მაგრამ იმის ლაპარაკიდგან სჩანდა, რომ მატყუებდა. მაგრამ სასიამოვნოდ მხოლოდ ის-ღა მქონდა, იმისთანა წმინდა ქართულის ენით მელაპარაკებოდა ამ ამბავს, რომ ადამიანს გაკვირვებაში მოიყვანდა და ვერ შეამჩნევდით, თუ ისმითიდგან იყო მოსული. მერე ვკითხე, რათ ეძახიან ისმითს მეტ სახელად გიურ-ისმითს მეთქი. მიპასუხა, იმისთვის რომ აქედგან გადასული მაჰაჯირები იქ დასახლდნენ და იმათი შინაური ენა ქართული იყო, ამის გამო იქაურმა თურქებმა ჩვენ ხალხს გიაური დაარქვესო, მას შემდეგ ისმითსაც დაერქვა მეტ სახელად გიაურო-ისი მათიო. თუმცა ჩვენებს იქაურ თურქებთან ბევრჯერ ჰქონიათ ამის გამო ჩხუბი და ცემა ტყეპა, მაგრამ მაინც ვერ შევიძლით იმათგან გაყრის ძახილის თავიდგან აშორებაო. ახლა ცოტა მოგვეჩვივნენ, თორემ გზაზე ისე ვერ გავივლიდით, რომ არ ეთქვათ თურქების ბალნებს: გიაურები მოდიან, დაიმალეთო. დამაჯერა და დასაჯერებელიც არის, რომ რაც აქედგან გადასახლებულან მაჰაჯირები, მას აქეთა ისმითს დარქმევია მეტი სახელად გიაურო-ისმითი და ესენიც იმდენად მისჩვევიან, რომ ძალიან ხშირად შეხვდებით და გაიგონებთ გიაურ-ისმითის სახელს. აქედგან ადვილად მიხვდებით, საწყალი ხალხი რა საცოდაობაშია ჩავარდნილი, ამ ალაფენდების გადამკიდე, რომელნიც იქ ურჩევენ გადასახლებას, სადაც თითქმის ნახევარი შიმშილით იხოცება და, ამას გარდა ყოველს ნაბიჯზედ გიაურებს ეძახიან.

ივ. ჯაიანი

# რუსეთი

გაზეთ „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„რუსეთის საიმპერატორო აგენტმა, რომელიც ბუხარაში იმყოფება, შეატყობინა თურქისტანის გენერალ-გუბერნატორს, რომ ბუხარის ემირი კვლავ აცხადებს რა თავის ერთგულებას რუსეთისა და იმპერატორის მიმართ, ჰსურს მემკვიდრე ცესარევიჩის ნიშნობის დღესასწაულის სახსოვრად დააარსოს ბუხარაში პირველი სასწავლებელი თავის ქვეშევრდომთათვის, რომელშიაც უნდა ასწავლონ რუსული ენა და რამდენიმე სხვა საგნები თურქესტანის სკოლების პროგრამის მიხედვით.

—

ოდესის გაზეთები იუწყებიან, რომ იქ უკვე მისულა ბ-ნი ივანოვი, საქმის მწარმოებელი კომისიისა, რომელიც დაარსდა გემის „ვლადიმირის“ ზღვაში დაღუპვის მიზეზის გამოსაკვლევად. კომისიის თავმჯდომარეს გენერალ ლეიტენანტს სუსლოვს ამ დღეებში მიელიან ოდესაში.

# უცხოეთი

**გერმანია.** შტუტგარტში მუშათა კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელმა ლიბკნეჰტმა და სცდილობდა განესაზღვრა სოციალიზმი და ანარქიზმი.

ანარქიზმიო, სთქვა სხვათა შორის ლიბკნეჰტმა, აწინდელ წესწყობილების უკმაყოფილებაა და მეტი არაფერი. მე ჩემის მხრივ ერთს წუთსაც არ დავფიქრდები და აღვიარებ, რომ კარნოს მოკვლა საშინელი დანაშაულია, მაგრამ ასეთივე დანაშაულია კაზერიოს დასჯაც, რადგანაც კარნოს მკვლელი სრულ ჭკუაზედ არ იყო. კაზერიო-კი არ უნდა მოეკლათ, სულით ავადმყოფთ სახლში უნდა გაეგზავნათ, როგორც გედელე და ნობელინგი, რომელთაც ვილჰელმის მოკვლა განიზრახეს.

კაზერიო რომ სრულ ჭკუაზედ ყოფილიყო, კარნო-კი არ უნდა მოეკლა, რომელიც მუდამ სცდილობდა პოლიტიკაში არ გარეულიყო, არამედ უნდა მოეკლა კაზიმირ პერიე, რომელიც განხორციელებული წარმომადგენელია ბურჟუაზიისა. რაც შეეხება გერმანიას, იქ უეჭველია ამბოხება მოხდება, თუ მთავრობამ სოციალური რეფორმები არ შემოიღოო. ერთად ერთი საშუალება ანარქიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ ანარქიისა, რომელიც თვით მე კაპიტალიზმის შედეგად მიმაჩნია, სოციალიზმი არის.

კრებას მრავალი ანარქისტი დაესწრო და ლიბკნეჰტის წინააღმდეგ ილაპარაკეს. ერთმა ანარქისტმა სხვათა შორის სთქვა, მოქმედებით პროპაგანდას რომ თავი დავანებოთ, მეც მაშინ ისეთივე სოციალისტი ვიქმნებიო.

ლიბკნეჰტიო, დასძინა ამ ანარქისტმა, ამაოდ სცდილობს დააშოროს ერთმანეთს სოციალიზმი და ანარქიზმი. ეს ორი მიმართულება ორი ტყუპია, ერთმანეთზედ მჭიდროდ გადაბმული.

კრებაზედ დიდი ჩოჩქოლი ასტყდა, ასე რომ პოლიცია იძულებული შეიქმნა ჩარეულიყო და დაეშალა, რადგანაც კრების დამსწრედ ბოლოს მუშტით მოინდომეს დამტკიცება თავიანთ საეკონომიო თეორიების სიმართლისა.

### სამეცნიერო ნაწილი

—

ნოვოლადოგის მაზრაში ხარის ყვავილი აუცრიათ სხვილ-ფეხა საქონლისთვისა, ცხენებისთვის და ცხვრებისთვის. ყვავილის ასაცრელად ხმარებულ იქმნა ვაქცინები ყაზანისა და ხარკოვის უნივერსიტეტების ლაბორატორიიდგან. იმ პირუტყვთ, რომელთაც ყაზანის ლაბორატორიის ვაქცინა აუცრეს, ყველამ კარგად აიტანა აცრა. ხარკოვის ლაბორატორიის ვაქცინებით აცრილთა შორის დაიხოცა ორი. ხოლო იმ პირუტყვთა შორის, რომელნიც გამოსაცდელად აცრილნი არ იყვნენ და ყვავილი შეეყარათ, ყველანი დაიხოცნენ.

### უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ესპანეთის მინისტრ-პრეზიდენტმა დიუპუიმ დიდი სიმამაცე გამოიჩინა, როდესაც დეპუტატთა პალატაში აფეთქება მოახდინეს. დიუპუი მაშინ დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი იყო და აფეთქება მოხდა თუ არა, მან ზარი დააწკარუნა და დაიძახა: „ბატონებო, საქმეთა განხილვა განვაგრძოთო“, ამისთანა ვაჟკაცობისათვის სუდანის რაზმის ჯარის-კაცებმა დიუპუის უნტერ-ოფიცრის ხარისხი უბოძეს. ამ დღეებში მინისტრ-პრეზიდენტმა, რომელიც ეხლა ვერნეში იმყოფება და თირკმლის ავადმყოფობით ავად არის, ფოსტით მიიღო თურმე კონვერტი, რომელშიაც უნტერ ოფიცრების ეპოლეტები იწყო. ჯარის უფროსი მინისტრს სწერს: გაოცებული ვარ რა თქვენის მამაცობით, დიდად ვწუხვარ, რომ ეს ეპოლეტები დამჭკნარებულია ახლების გამოგზავნა. ვერ შევიძლით, რადგანაც შიდა-სუდანში ამის ხელოსნები არ არიან. მაგიერად ეს ეპოლეტები იმისთანა ჯარის კაცისა იყო, რომელიც ბევრჯელ ყოფილა შუაგულს ომში და ზურგი არასოდეს არ უჩვენებია მტრისათვის.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

უმორჩილესად გთხოვთ, ნება დამრთოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადავუხადო თავად ლევან ბარათაშვილის ქვრივს ნატალია ნიკოლოზის ასულს და მის ძმათა ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძეთა კეჟერელ-კოჯაძეთ, რომელთაც ჩემდა რწმუნებულს ძველ-მანგლისის ტაძარს შემოსწირეს მძიმესა ვერცხლის ხატი მაცხოვრის ღვთის-მშობლისა, ღირებული 230 მანათად

მღვდელი ძველი-მანგლისის მიძინების ღვთის-მშობლის ეკკლესიისა გიორგი ნასყიდაშვილი

### შემოწირულება

—

ხონის დედათა სკოლის შენობის ასაგებად პატივცემულს მარიამ ივანეს ასულს კაკაბაძისას შეუკრებია ბათუმში ორასი მანეთი. ამავე სკოლისათვის კიდევ წინად შეუწირავს ქ-ნს მარიამ კაკაბაძისას ოთხმოცი მანეთის აგური.

ეს საპატიო მანდილოსანი, როგორცა სჩანს დიდის ერთგულებით და სიყვარულით მოჰკიდებია თავის ქალაქის დედათა განათლების სამსახურს.

ვბეჭდავთ აქავე შემწირველთა სიას:

ლევან კაკაბაძე 10 მ., დესპინა ხუნჯუასამ 10 მ., მიხეილ გოგინოვი 10 მ., ავეტიქ მუნდაიანცი 10 მ., გედევან ბახტაძე 20 მ., ლევან ჯაიანი 5 მ., უსუფ მამუდ-ოღლი 5 მ., ნიკო საბაევისა 5 მ., კოსტა მიქაძე 5 მ., ევგენი მამფორია 5 მ., გრიგოლ ელიავა 5 მ. ექვთიმე ბერძენიშვილი 5 მ., პეტროსა ქამოიანი 3 მ.. ივლიანე ლომნაძე და ბერძენიშვილი 3 მ., ანტონ კარტოზია 3 მ., რომანოზ ბერაძე 3 მ., ლევან ტატუზოვი 3 მ., სეფე მხეიძე 3 მ., ივანე ნოდია 3 მ., დათიკო გამყრელიძე 3 მ., ზადიკა მაღლაზაიანცი 3 მ., ალექსი ფაჩულია 3 მ., მიხაკ შახპარიანცი 3 მ., უსახელომ 3 მ., ბაბალო სტეფანოვი 3 მ., ალექსი მაჭარაძე 3 მ., სტეფანე თაქთაქიძე 3 მ., მალხაზ კაკაბაძე 3 მ., სამუელ ქადეიშვილი 3 მ., ბათუა ინჯგია 3 მ., ვასილ კაკაბაძე 3 მ., ალექსი ქალტავა 2 მ., ლუკა ნადირაძე 3 მ., ივანე კახიანი 2 მ.. ივანე გუგუშვილი 2 მ., სიმონ ნემსაძე 2 მ., მიხეილ თოხუმოვი 2 მ., ივლიანე მელქაძე 2 მ., სამსონ დიასამიძე 2 მ., მღვდელი ტერ-კოტე 2 მ., ალექსანდრე მებუკე 2 მ., ივანე ჭავჭანიძე 2 მ., ფარნა ლევანისძე 2 მ., ილიკო ხარაბაძე 1 მ., ალავერდ ალავერდოვი 1 მ., მოსე ბარკალაია 1 მ., გერასიმე ქიქიკაშვილი 1 მ., ჯაბული შოავლია 1 მ., ვანო ალიბეგოვი 1 მ.. კოსტა ვაჩეიშვილი 1 მ., ნიკო დუნბაძე 1 მ., ალექსი ხოშტარია 1 მ., სიკო სანიკიძე 1 მ., მოსკოვის კანდიტერი 1 მ., ექვთიმე ჭუმბურიძე 1 მ., სერგო ისაევი 1 მ., გრიგოლ ჩხიკვაძე 1 მ., მიხეილ ანთაძე 1 მ., ანდრო ზუბალოვი 1 მ., გრიგოლ დანიელოვი 1 მ., ანტონ გალდავაძე 1 მ ალექსს ყურბანოვი 1 მ., მიხეილ გალუსტოვი 1 მ., ვლადიმერმა 1 მ., მ. ითხანოვამა 50 კ. და დათიკა კაკაბაძე 50 კ.

### პეტერბურგის ბირჟა, 12 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,45 | 7,47 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 1/2 | 149 1/2 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | 238 1/2 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 228 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 191 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**გ. ი. ფრანცუსი**, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)



„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |



## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—14)


Дозволено цензурою Тифлисъ, 20-го Августа 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.